ს.ს.ი.პ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის
აღმასრულებელი საბჭოს
სხდომა

ქ. თბილისი, ჭავჭავაძის გამზ. №4/8, ბ. №6

სხდომის დაწყების დრო: 19:23სთ. 1 თებერვალი 2006 წელი

სხდომაზე დამსწრე აღმასრულებელი საბჭოს წევრები:
კახაბერ ასლანიშვილი (თავმჯდომარე), რუსუდან პიტავა, დავით ასათიანი, დავით ლანჩავა, ზაზა ხატიაშვილი, როინ მიგრიაული, ზვიად კორძაძე, გოჩა სვანიძე, ზურაბ ტაბიძე

სხდომის თავმჯდომარე: კახაბერ ასლანიშვილი

დღის წესრიგი:

1. ასოციაციის წევრის ორდერის ნიმუშის დამტკიცება;
2. ასოციაციის პირადობის მოწმობის ნიმუშისა და ფორმის დამტკიცება;
3. ასოციაციის სიმბოლოს დამტკიცება;
4. წევრობის საკითხი, წევრად მიღება, წევრობის შეჩერება (შეწყვეტა);
5. წევრთა სიის წარმოების წესის შემუშავება და რეესტრის ფორმის დამტკიცება;
6. საშტატო განრიგისა და აპარატის წევრთა სარგოების განსაზღვრა;
7. თავმჯდომარის ხელფასის განსაზღვრა;

გ ა დ ა წ ყ დ ა:

1. რეკვიზიტები, რომლებიც სავალდებულოა ორდერისთვის:

ა) იურიდიული ფირმის, ბიუროს, ადვოკატის დასახელება, მისამართი, ორდერის გაცემის თარიღი; **ბ)** დოკუმენტის დასახელება – ორდერი; **გ)** ადვოკატი – სახელი, გვარი, სიითი ნომერი; **დ)** იურიდიული პირი – სახელწოდება, რეგისტრაციის ნომერი; **ე)** დავალების შინაარსი (უნდა მოიცავდეს საპროცესო მოქმედებას და მათი შესრულების ადგილს ან ორგანოს); **ვ)** ორდერის გამცემი პირის ხელმოწერა; **ზ)** ორდერის მოქმედების ვადა.

აღნიშნული რეკვიზიტები ადვოკატს უფლებას აძლევს ინდივიდუალურად გამოწეროს ორდერი.

2. დაევალოს ს.ს.ი.პ. "საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარეს", აღმასრულებელ საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგინოს ასოციაციის წევრის პირადობის მოწმობის პროექტი;

3. დაევალოს ს.ს.ი.პ. “საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარეს”, აღმასრულებელ საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგინოს ასოციაციის სიმბოლიკის პროექტი;

4. დადგინდეს შეღავათიანი საწევრო ა) მრავალშვილიანი დედებისათვის (ვისაც ჰყავს სამი ან სამზე მეტი შვილი); ბ) პირველი და მეორე ჯგუფის ინვალიდებისათვის; გ) წევრებს, ვინც საადვოკატო საქმიანობას ახორციელებს საქართველოს რეგიონებში, საწევრო განესაზღვროთ 100 ლარის ოდენობით; წევრებს, ვინც გადაიხადა 2005 წლის საწევრო 50 ლარის ოდენობით, 2006 წლის სავალდებულო საწევრო შენატანი განესაზღვროთ 150 ლარის ოდენობით.
გ) ქვეპუნქტით განსაზღვრული შეღავათი ძალაში შევიდეს 2007 წლის 1 იანვრიდან.

აღმასრულებელი საბჭოსათვის ინდივიდუალური მიმართვის საფუძველზე განიხილება წევრისათვის შეღავათიანი საწევროს დადგენის საკითხი გადაწყვეტილებაში მითითებული კრიტერიუმების, ასევე, ცალკეულ შემთხვევებში არსებული განსაკუთრებული კრიტერიუმების მიხედვით.

5. შემუშავებულ იქნას წევრთა სია, რომელშიც აუცილებელ რეკვიზიტებად მითითებული იქნება თითოეული წევრის: სახელი, გვარი, სპეციალიზაცია, სიითი ნომერი.

6. დაევალოს ს.ს.ი.პ. “საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარეს” აღმასრულებელ საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგინოს ასოციაციის აპარატის საშტატო განრიგი.

7. განესაზღვროს ს.ს.ი.პ. “საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის” თავმჯდომარეს ხელფასი 5 000 ლარის ოდენობით.

გადაწყვეტილებების მიღებისას აღმასრულებელი საბჭოს სხდომას ესწრებოდნენ: კ. ასლანიშვილი, დ. ლანჩავა, დ. ასათიანი, ზ. კორძაძე, რ. მიგრიაული, გ. სვანიძე, ზ. ტაბიძე, ზ. ხატიაშვილი.

გადაწყვეტილება მიღებულ იქნა ერთხმად, ღია კენჭისყრით.

კახაბერ ასლანიშვილი
თავმჯდომარე